

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი

## სამაგისტრო პროგრამა

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	სპორტის მენეჯმენტი
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სპორტის მენეჯმენტში
<b>პროგრამის მოცულობა აკრედიტებით</b>	2 წელი / 4 სემესტრი, 120 კრედიტი
<b>სწავლების ენა</b>	ქართული ენა
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ასოცირებული პროფესორი ვასილ ლიპარტელიანი ელ. ფოსტა vasil.liparteliani@gmail.com
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი</b>	30.10.2013 წელი
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მიზანს წარმოადგენს ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადება, რომლებიც სამომავლოდ უზრუნველყოფენ სპორტის სფეროში ბიზნეს პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა სპორტის მენეჯმენტში უზრუნველყოფს მენეჯერებისა და ადმინისტრაციული ფუნქციით დაკავებული ადამიანების აკადემიურ განათლებას, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართავენ სპორტის ინდუსტრიის ორგანიზაციებსა და საწარმოებს.</p>	
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებისა და სპეციალობაში გასაუბრების გავლის შემდეგ.</p>	
<b>სწავლის შედეგი</b>	<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b> <b>კურსდამთავრებულს ეცოდინება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სპორტის სფეროს ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მისი პრინციპები და არსი, პერსონალის ხარისხის ამაღლება, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მნიშვნელობა.</li> <li>• სპორტული პროფილის ორგანიზაციების, სპორტული კომპანიების, სპორტული ინდუსტრიისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების წინაშე არსებული პრობლემის ანალიზი და მათი გადაჭრის გზები;</li> <li>• სპორტული კომპანიის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა, სპორტის სფეროზე მოქმედი მიკრო და მაკრო ფაქტორების იდენტიფიცირება და ცვლილების მართვა.</li> <li>• თანამედროვე სტილის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები, მეთოდები, გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობები</li> </ul>

სპორტის სისტემაში.

- სპორტის მენეჯმენტის მეცნიერული კვლევისათვის საჭირო საკვანძო თეორიები, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები;
- სპორტის სისტემაში საბაზრო ეკონომიკის მოდელების განვითარების ტენდენციები, მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე.
- სპორტული ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის არსი, მისი მნიშვნელობა, მეთოდები, პრინციპები და ფუნქციები. საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზაციის, ადმინისტრირებისა და კონტროლის მნიშვნელობა.
- სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დეპარტამენტებისა და უმაღლესი მმართველობის არსი, უმაღლესი ტოპმენეჯერების საქმიანობის მნიშვნელობა, სტრატეგია და განვითარება.
- სპორტის მართვის პრობლემები, პროგნოზირება და განვითარების სტრატეგია. მართვის მეთოდები, პრინციპები და თავისებურებები ფიზიკური აღზრდისა სპორტი განვითარების საქმეში.
- მენეჯერული საქმიანობის მართვის შეფასება დანახარჯების მიხედვით, მათი ეფექტიანობის განსაზღვრა.

## 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

**კურსდამთავრებული შეძლებს:**

- სპორტის სფეროში პერსონალის (მენეჯერული და დამხმარე) მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, განაწილების საქმიანობის ორგანიზებას, წარმართვას და დაგეგმვას.
- პრაქტიკულად გამოიყენოს ბიზნესის მართვის მეთოდები, იმოქმედოს გაუთვალისწინებელ და მრავალფეროვან გარემოში. დამოუკიდებლად გაუწიოს ხელმძღვანელობა ბიზნესის განვითარებას სპორტის სფეროში.
- პრაქტიკაში გამოიყენოს მენეჯმენტის თანამედროვე სტილი და ხელი შეუწყოს სპორტული ობიექტების ფუნქციონირების სრულყოფას.
- კომპლექსურად გამოიყენოს ემპირული კვლევების ახალი სპეციფიკური ტექნოლოგიები და მეთოდები;
- გამოიყენოს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი მოდელები სპორტის სფეროში.
- დანერგოს უმაღლესი მმართველობის მენეჯმენტი და გაითვალისწინოს სპორტის სფეროში მოქმედი შიგა და გარე ფაქტორები და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მიაღწიოს წარმატებული მენეჯმენტის განვითარებას.
- დაამუშაოს საქმიანობის დაფინანსების გეგმა და უხელმძღვანელოს შესრულებას, სპორტის მართვის სტრატეგიაზე ამოცანების დაგეგმვას და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მათი განხორციელებას.
- სასიცოცხლოდ აუცილებელი სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მოპოვებას;

## 3. დასკვნის უნარი

**კურსდამთავრებული შეძლებს:**

- პროგრამის ათვისებით სპორტულ საქმიანობაზე არასრული ინფორმაციის პირობებში დასაბუთებული დასკვნების

გაკეთებას.

- სპორტული ობიექტების ბიზნესის მართვის შესახებ სიტუაციის გაანალიზებას.
- მენეჯმენტის თანამედროვე სტილის გამოყენებაზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მართვის განვითარების სტრატეგიაზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას.

#### 4. კომუნიკაციის უნარი

**კურსდამთავრებული შეძლებს:**

- ადამიანური რესურსების მენეჯმენტზე საქმიან კომუნიკაციას პროფესიულ საზოგადოებაში და არასპეციალისტებთან.
- კომუნიკაციას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს მართვისა და განვითარების თანამედროვე სტილის შესახებ.
- ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- კომუნიკაციას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს ეკონომიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებზე ( დაგეგმვა, ორგანიზაცია, ადმინისტრირება, კონტროლი).

#### 5. სწავლის უნარი

**კურსდამთავრებული შეძლებს:**

- ფართო სპექტრის რესურსების გამოყენებით, საკუთარი სწავლის პროცესის მართვას;
- საკუთარი ცოდნის შეფასებას და დასახული უწყვეტ განათლებასა და პროფესიულ განვითარებას. მიზნების მისაღწევად სტრატეგიის შემუშავებას;

#### 6. ღირებულებები

**კურსდამთავრებული :**

- აცნობიერებს მენეჯმენტის მნიშვნელობას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს განვითარებაში და ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში;
- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებით: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს მართვის სტრატეგიის, მენეჯმენტის, მეცნიერული კვლევის მეთოდების და მენეჯმენტის თანამედროვე სტილის განვითარების საქმეში
- იცნობს და ამკვიდრებს ადმინისტრირების ეთიკურ პრინციპებს.

**სწავლების ფორმატი**

ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- ქვიზი;
- ბლიც გამოკითხვა;
- ტესტი;
- დებატები/დისკუსია;
- სიმულაციური/სიტუაციური ამოცანა;
- მოძიებული სასწავლო/ინოვაციური მასალის განხილვა;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- როლური თამაში;
- შესრულებული სამუშაოს უთიერთ შეფასება;
- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდა;
- კონსულტაცია.
- სამაგისტრო ნაშრომი.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

#### შეფასების სისტემა უშვებს:

##### ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- ა.ა) A – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) B– ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) C– კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) D– დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) E– საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

##### ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

Fx – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

F– ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაგისტრანტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის მაგისტრანტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

სემესტრული შეფასების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია მაგისტრანტის ცოდნის ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით შეფასებაზე, ხოლო 20 ქულა შუალედურ შეფასებაზე. სემესტრული შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. დასკვნითი გამოცდა ტარდება მე-16 და მე-17 კვირას.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში 18-ე და 19-ე კვირას

#### სემესტრული შეფასების კომპონენტები:

მასალის ზეპირი პრეზენტაცია;

ბლიც გამოკითხვა;

ქვიზი;

**შუალედური გამოცდა:** ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო

<p>საკითხი ფასდება თითო ქულით.</p> <p><b>დასკვნითი გამოცდა:</b> ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.</p> <p><b>სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:</b></p> <p>ნაშრომის აქტუალობა და საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლის სიღრმისეულობა - მაქსიმუმ - 15 ქულა;</p> <p>კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე - 15 ქულა;</p> <p>ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა;</p> <p>ნაშრომის პრეზენტაციის ხარისხი - 40 ქულა.</p> <p>დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა - 20 ქულა.</p>
<p><b>დასაქმების სფერო</b></p> <p>მაგისტრი შეიძლება დასაქმდეს სპორტის სისტემის ნებისმიერი მიმართულებისა და საქმიანობის ორგანიზაციებში, კერძოდ:</p>
<p><b>სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 2 წლიანი.</p> <p>სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს, 2 სასწავლო კურსს, რომელიც შედგება ოთხი სემესტრისაგან; სემესტრში 30 კრედიტი; წელიწადში 60 კრედიტი.</p> <p>1კრ=25საათი</p> <p>ერთი აკადემიური წელი : 38 კვირა.</p> <p>სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა.</p>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:</b></p> <p>ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები (ჩართული ინტერნეტ ქსელში); თეორიული მზადებისათვის – სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორია, სპორტული ღია და დახურული დარბაზები, საცურაო აუზი.</p> <p>პროგრამის სრულფასოვნად ათვისებისათვის ფაკულტეტს გააჩნია აგრეთვე რესურსი ურთიერთობა დაამყაროს სპორტის სხვადასხვა ორგანიზაციებთან (კლუბები, ფედერაციები) და სტუდენტი მიავლინოს სტაჟირებაზე. ამ მხრივ პროგრამა ითვალისწინებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობას.</p> <p><b>სწავლის გაგებების შესაძლებლობა</b></p> <p>მაგისტრს შეუძლია სწავლა და კვლევითი მუშაობა გააგრძელოს დოქტორანტურაში.</p>

პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო/ არჩევითი)	ECTS კრედიტი/ სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სპორტის მენეჯმენტი	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	X
სპორტის მენეჯერის პროფესიული	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	X

განვითარება და კარიერის დაგეგმვა									
სპორტის სახელმწიფო მართვა	ს	6 (I)	47	X	X	X		X	X
სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა	ს	6 (I)	47	X	X	X		X	X
სპორტული ინფრასტრუქტურისა და ღონისძიებების მართვა	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	X
სპორტის მენეჯმენტი	ს	6 (II)	47	X	X	X		X	
სპორტული ორგანიზაციის მართვა	ს	6 (II)	47	X	X			X	
სპორტის ეკონომიკა და ფინანსები, ბიუჯეტის დაგეგმვა	ს	6 (II)	47	X	X		X	X	
სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა	ს	6 (II)	32	X	X		X	X	
სპორტის მარკეტინგი	ს	6 (II)	47	X	X	X	X	X	X
ლიდერობა	ს	6 (III)	47	X	X		X	X	X
სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	
სპორტის მარკეტინგი	ს	6 (III)	180	X	X	X	X	X	X
კომუნიკაცია სპორტის მენეჯმენტში	ს	6 (III)	90	X	X	X	X	X	X
კვლევისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდები	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	
პრაქტიკა სპეციალობაში	ს	6(IV)	122	X	X	X	X	X	
სამაგისტრო ნაშრომი (შესრულება და დაცვა)	ს	24 (IV)	50	X	X	X	X	X	X